ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2022 №151 (8929) ფასი: 80 თეთრი

მელია: „მძიმე მდგომარეობაშია და ვერ იქნება და არც უნდა იყოს მოფიქრალი პოლიტიკასა და პოლიტიკურ პროცესებზე“

გვ.2

რით ეკაჭრება ივანიშვილი ამერიკას?!

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „დღეს ვერ ვხედავ ოპოზიციაში იმ ძალას, რომელიც 2024-ში „ქართული ოცნების“ დამარცხებას შეძლებს“

„ორპოლუსიანობა ადვილად ვერ დაინგრევა“

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „ქართულ ოცნებას“ რეფორმების გატარება არ უნდა და დასავლეთს იმიტომაც დაუპირისპირდა“

„ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა არ აწყობს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილმა ხატზეც რომ დაიფიცოს, მართლა მივდივარ პოლიტიკიდანო, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა მაინც ექნება“

სოზარ სუბარი: „მივიღეთ გადაწყვეტილება, დავაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“

გვ.3

გვ.2

არჩილ თალაკვაძე: „საქართველოს არსებობის 5.000-წლიანი ისტორია აქვს და ამ ისტორიას ვერავინ გადაწერს“

გვ.4

ალეკო ელისაშვილი: „ომისთვის უნდა ვემზადებოდეთ“

დავით არახამია: „საქართველო იქნება შემდეგი, მოსკოვში ამას უკვე აღარც მალავენ“



გვ.4

3 „ცუდად გრძნობს თავს... საკვებს ვერ ილებს და არის მოტეხილი“

5 საფრანგეთში ჩასული ქართველი თავს უკრაინელ ლტოლვილად ასაღებდა

5 ხულოში საჭვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

6 ნენსი პელოსი: „ამერიკის სოლიდარობა ტაივანის მოსახლეობისადმი მნიშვნელოვანია“

„ჩინეთი ყველა საჭირო ზომას მიიღებს“

1993230720223

რით ეშაჭრება ივანიშვილი ამერიკას?!

მამუკა გამყრელიძე: „დღეს ვერ ვხედავ ოპოზიციაში იმ ძალას, რომელიც 2024-ში „ქართული ოცნების“ დამარცხებას შეძლებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? 12-პუნქტიანი გეგმა შესასრულებელია. ხელისუფლება ამის შემსრულებელი არ არისო. ბევრი ცვლილებებსაც აანონსებს. რა რეალობის წინაშე ვართ, რას იტყვით თქვენ?

– 12-პუნქტიანი გეგმა არის ის საგზაო რუკა, რომელიც ჩვენ შესასრულებელი გვაქვს იმისთვის, რომ დავუახლოვდეთ ევროკავშირს. პრინციპში, აქ ახალი არაფერია და არც ისეთი მოთხოვნა დგას, რომ გინდა თუ არა ყველაფერი შესრულებული უნდა იყოს 6 თვეში თუ ერთ წელიწადში. ეს შეუძლებელია, ყველაფერი ზედმიწევნით ვერ შესრულდება და ყველა რეფორმა ვერ დამთავრდება. აქ დასაწყისია მთავარი, როგორ დაიწყებ, როგორი სახის რეფორმები იქნება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება და ყველა დააკვირდება. ამიტომ მე დიდი იმედი არ მაქვს. თუნდაც რომ მოგვეცადა და ეს პროცესი უფრო მშვიდად ჩაგვეტარებინა, შეიძლება, უკეთესიც ყოფილიყო. არ ვართ ჩვენ მზად და რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. ჩემი აზრით, ხელისუფლების ცვლილება აუცილებელია იმისათვის, რომ ეს 12 პუნქტი შესრულდეს. არ შეასრულებს ეს ხელისუფლება, არ წავა არც დეოლიგარქიზაციაზე და არც სასამართლო რეფორმაზე.

– ბატონო მამუკა, ამ 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით ოპოზიციამ ცალკე პროცესი წამოიწყო. გვესმის შეფასებები, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი სწორედ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. რას იტყვით თქვენ, რამდენად სწორად იქცევიან?

– აბსოლუტურად გეთანხმებით. პირველივე დღიდან ამას ვამბობ, რომ სწორედ „ოცნების“ წისქვილზე ასხამენ წყალს. ის ხდება, რაც შარლ მიშელის დოკუმენტის დროს მოხდა, „ოცნებას“ საშუალებას აძლევენ, რომ ამ პროცესს განერიდოს. არ ვიცი, რას ფიქრობენ. ეს მათი საქმეა. მე თუ მკითხავთ, მეორენაირადაც შეიძლებოდა ამის გაკეთება.

– როგორ?

– შეიძლებოდა, ხელისუფლების მიერ შექმნილ კომისიებშიც მიეღოთ მონაწილეობა, იქაც ემუშავათ და ცალკეც წამოეწყოთ ეს პროცესი. ამის გაკეთება უფრო მოხდენილად შეიძლებოდა, ვიდრე დაპირისპირების რეჟიმში. დეპოლარიზაციას რომ ითხოვს ევროკავშირი, ვხედავთ, რომ არანაირი დეპოლარიზაცია არ ხდება, პირიქით, ამით უფრო ღრმავდება დაპირისპირება. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დანასისხლად არიან გადაკიდებული ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მე ოპოზიციას წარმოვადგენ, მიყვარს სიმართლის თქმა. დღეს ვერ ვხედავ ოპოზიციაში იმ ძალას, რომელიც შეძლებს, „ქართული ოცნება“ დაამარცხოს 2024-ში. ამ წუთის მონაცემებით ასეა.

– 2024-მდე თუ ჩატარდა არჩევნები, ძველი კანონმდებლობით ჩატარდება. ეს რამდენად აძლევს ხელს ოპოზიციას?

– 2024-შიც თუ შეიცვლება რამე, ესეც არავინ იცის. ჯერჯერობით ამბობენ, რომ არანაირი ცვლილება არ იქნება. აძლევს ოპოზიცია ხელისუფლებას ამის საშუალებას და რატომაც არ იტყვის.

– ხვდებიან, რომ ოპოზიცია სუსტია და დიდ გულზე არიან?

– კი ბატონო. ახლა რომ სუსტია ოპოზიცია, ასეთი სუსტი არ ყოფილა 2012 წლის შემდეგ არც ერთხელ. შეაჩვიეს ამომრჩეველი საკუთარ მარცხს და ამის გამოსასწორებლად არც არაფერს აკეთებენ.

– ოპოზიციის სისუსტეზე ვსაუბრობთ და მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, ქართული პოლიტიკიდან წასვლასა და ნაციონალური მოძრაობისგან დისტანცირებას აპირებს. ეს რამდენად დააზარალებს ნაციონალებს და დააკარგვინებს ამომრჩეველს? ეს არის თამაში სააკაშვილის მხრიდან თუ მართლა უნდა, რომ ჩამოშორდეს ქართულ პოლიტიკას?

– მე არ მაქვს არანაირი კონტაქტი სააკაშვილთან, არც შეიძლება, რომ მქონდეს. უბრალოდ, ჩემს აზრს გეტყვით: ამ ადამიანმა, რაც შეეძლო, ქვეყანას გაუკეთა თავისი პრეზიდენტობის დროს. შემდეგ, რაც შეეძლო, მაქსიმალურად დაეხმარა თავის პარტიას, მხარდაჭერით, მოწოდებებით. დარწმუნებული ვარ, რესურსებითაც ეხმარებოდა და ასე შემდეგ. დღეს ახლა ეს კაცი ციხეშია და არანაირი საშუალება იმისა, რომ ციხიდან მისმა პარტიამ დაიხსნას, რაღაც მოძრაობა გააკეთონ ისეთი, რომ შეძლონ ამ ადამიანის გამოშვება, მსგავსს ვერაფერს აკეთებენ. არადა, ვხედავთ, რომ ეს ადამიანი დღითი-დღე სულ უარესად არის. შეიძლება, გადაჰყვეს კიდევაც ამ მდგომარეობას. ყველამ კარგად ვიცოდით, სააკაშვილი არ იყო ის კაცი, რომელიც ციხეს გაუძლებდა. არის ხალხი, რომელიც მშვიდად იტანს ამ ამბავს და არის ხალხი, რომელიც საერთოდ ვერ იტანს. სააკაშვილის მხრიდან მისი ჩამოსვლა იყო დიდი შეცდომა. ის შეაგულიანეს და შეცდომაში შეიყვანეს.

– „ოცნებამ“ ისე წარმოაჩინა, რომ სააკაშვილის განცხადება პატიმრობიდან თავის დაღწევის მცდელობაა. ითქვა ისიც, რომ თავად „ოცნებას“ არ აწყობს სააკაშვილის პოლიტიკიდან გასვლა, სურს, რომ სულ ზედაპირზე იტივტივოს, რადგან მას აღარ ეყოლება ბუა მიხეილ სააკაშვილის სახით. თქვენ რას ფიქრობთ?

– მე ასე არ ვფიქრობ და გეტყვით, რატომ. მიხეილ სააკაშვილი იმდენად ძლიერი ფიგურაა, რომ მისი პოლიტიკიდან გასვლა „ქართულ ოცნებას“ აწყობს. მიშას გასვლა ქართული პოლიტიკიდან და მით უმეტეს ოპოზიციური ველიდან ნიშნავს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა განახევრდება მხარდამჭერების თვალსაზრისით და საერთოდ აღარ იქნება საფრთხის შემცველი. ამიტომ ვამბობ, რომ 2024 წლისთვის ასეთი განლაგება თუ იქნა, როგორიც ახლაა, „ქართულ ოცნებას“ არანაირი პრობლემა არ შეექმნება. სააკაშვილის წასვლა ძალიან მძიმე დარტყმა იქნება ნაციონალური მოძრაობისთვის.

– ეს ყველაფერი სხვა ოპოზიციურ პარტიებს ხომ არ მისცემს დაწინაურების საშუალებას?

– სააკაშვილის მომხრეები საერთოდ არავის არ მისცემენ ხმას. უბრალოდ, არავის, იმიტომ, რომ ნაწყენი იქნებიან თავიანთ პარტიაზეც, მათთვის მიუღებელი იქნებიან სხვებიც და ასე შემდეგ. ასეთი მდგომარეობა კი ძალიან ცუდი იქნება მთლიანად ოპოზიციისთვის. საერთოდ, ერთი ადამიანის გამო პარტიისთვის ხმის მიცემა ძალიან არასწორი მიდგომაა. ხმა უნდა მისცეს იდეოლოგიას. ამიტომ სააკაშვილის ჩამოშორებამ პოლიტიკიდან, შესაძლოა, სიტუაციის გაჯანსაღებასაც კი შეუწყოს ხელი. ჩვენ ვხედავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი იმდენად ძლიერი ფიგურები არიან პოლიტიკურ ველზე, ხალხი სწორედ მათკენ მიისწრაფვის. მოაშორეთ „ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილი და ვნახავთ, რაც იქნება.

– ბიძინა ივანიშვილი ახსენეთ და ვისმენთ შეფასებებს, რომ „ოცნებამ“ ივანიშვილის სახით მძიმე არტილერია ჩართო საქმეში. რას ნიშნავდა ბიძინას წერილი, რა გზავნილები ამოიკითხეთ?

– წერილი ისე იყო დაწერილი, რომ ყველამ თავისებურად გაიგო, სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცეს. ბიძინა იძულებული გახდა ეთქვა, რომ დიახ, დეგნანს შეხვდა, მაგრამ რაზე, ეს ღიად დატოვა. მოდი, ვთქვათ, რომ ძალიან ცუდად დატოვა ღიად. კითხვა ჩამოკიდა, მართლაც ხომ არ იყო ლაპარაკი ომის საკითხებზე. მისი მომხრეებისთვის ეს კითხვა ჰაერში დაიკიდა. ვისაც ცოტა თავში ტვინი აქვს, ის გადასარევად მიხვდება, რომ ლაპარაკი ამაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. საერთოდ, ეს შეხვედრა აუცილებლად იქნებოდა შეთანხმებული სახელმწიფო დეპარტამენტთან. საერთოდ, დეპარტამენტის პრაქტიკაში არის შეხვედრა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გარკვეულ რესურსებს ფლობენ სახელმწიფოში. ამიტომ ელჩის შეხვედრა მასთან აბსოლუტურად ნორმალური მოვლენა იყო. ვინც იცის ეს თემა, ის სწორადაც გაიგებს. თუმცა ბიძინამ საქმეში ჩაუხედავი ხალხისთვის დაკიდა ეს კითხვა. ამ თემას სავაჭროდ ვერ აქცევს, დეგნანი ელჩია და მეტი არაფერი. ამერიკის პოლიტიკას განსაზღვრავს სახელმწიფო დეპარტამენტი. ჩემი აზრით, სულ სხვა რაღაცით ვაჭრობს ივანიშვილი.

– რა არის ვაჭრობის თემა?

– აქ ვაჭრობა მიმდინარეობს უფრო კორიდორზე, რომელიც არის საქართველოდან გამავალი არა მარტო აზერბაიჯანიდან, არამედ ცენტრალური აზიიდანაც. ეს კორიდორი ევროპას დღეს ძალიან სჭირდება. შეიძლება, ისეთმა დიდმა რაოდენობამ აქ არ გაიაროს, რამდენიც ევროპას სჭირდება, მაგრამ მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია.

– ანუ თავის მნიშვნელოვან როლს ხედავს დღეს საქართველოს ხელისუფლება და ამიტომ არის ასეთ მაღალ გონორზე?

– რა თქმა უნდა, სწორედ რომ ასეა. დასავლეთის პოზიციაც ასეთია, სიმშვიდე იყოს ქვეყანაში, რომ ის საკითხები, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანია, იყოს ხელუხლებელი და დაცული. ამის გარანტირებას ჯერჯერობით „ქართული ოცნება“ აკეთებს. როგორ აკეთებს ამას, რის საფუძველზე, ეს უკვე მეორე საკითხია. მეორე მხრივ, შესაძლებელია, სულაც არ მოსწონს დასავლეთს „ქართული ოცნება“ და შეიძლება, დახმარებოდა კიდეც ოპოზიციას, მაგრამ ოპოზიციაში ვერ ხედავს დასაყრდენს. ეს ჩანს სრულიად ღიად, აშკარად და შეუიარაღებელი თვალით. ამიტომ, იძულებულია, ისევ „ოცნებასთან“ ითანამშრომლოს.

მელია: „მძიმე მდგომარეობაშია და ვერ იქნება და არც უნდა იყოს მოფიქრალი პოლიტიკასა და პოლიტიკურ პროცესებზე“

ნიკა მელიას განცხადებით, ახლა მიხეილ სააკაშვილი არის უმძიმეს მდგომარეობაში და ის პოლიტიკაზე მოფიქრალი ფიზიკურად ვერ იქნება.

– ის, პირველ რიგში, ახლა საჭიროებს გამოჯანმრთელებას. ბუნებრივია, დაცვის მხარე, ადვოკატების სტრატეგია არის, რომ პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა მოხდეს შესაბამის ჰოსპიტალში და გამოჯანმრთელდეს. ანუ, როდესაც ადამიანი არის უმძიმეს მდგომარეობაში, რატომ ისმის კითხვა საერთოდ? ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, ბუნებრივია, ვერ იქნება და არც უნდა იყოს მოფიქრალი პოლიტიკაზე და პოლიტიკურ პროცესებზე, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მიდის თუ არა ქართული პოლიტიკიდან მიხეილ სააკაშვილი? ქვეყნის მესამე პრეზიდენტის პოზიცია ჯერ ისევ უცნობია.

სააკაშვილის პარტიიდან და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია მისმა ადვოკატებმა გაავრცელეს.

ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ელოდება.

პარალელურად ცნობილი ხდება, რომ უახლოეს დღეებში საქართველოში ამერიკელ ექსპერტებს ელოდებიან, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში ჩაერთვებიან.

არჩილ თალაკვაძე: „საქართველოს არსებობის 5.000-წლიანი ისტორია აქვს და ამ ისტორიას ვერავინ გადაწერს“

– საქართველოს არსებობის 5.000-წლიანი ისტორია აქვს და ამ ისტორიას ვერავინ გადაწერს, – ეს შეფასება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ დიმიტრი მედვედევის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტთან დაკავშირებით გააკეთა.

თალაკვაძის თქმით, აღნიშნული განცხადება თუ შემდეგ გაკეთებული განმარტებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა რთულ ბეწვის ხიდზე უწევს საქართველოს გავლა.

– ვიმყოფებით რთულ რეგიონში, საფრთხეებით და გამოწვევებით სავსე დროში, როცა ყველა მხრიდან საქართველოს მშვიდობას კონკრეტული საფრთხე ემუქრება, მათ შორის რუსეთი აგრძელებს საქართველოს უკანონო ოკუპაციას და ჩვენ ვაგრძელებთ მშვიდობიან ბრძოლას საერთაშორისო პრინციპების დაცვით, რომ შევძლოთ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და გრძელვადიანი უსაფრთხოების დაცვა. ეს არის ჩვენი ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ცნობისთვის, დიმიტრი მედვედევის გვერდზე დაიდო პოსტი, რომელიც რუსეთის იმპერიალისტურ მოსაზრებებს ეხებოდა და ნათქვამი იყო, რომ კიევის დაბრუნების შემდეგ, რუსეთი თავის საზღვრებს აღადგენს, რომელთა გაფართოებისთვის წლების განმავლობაში სისხლი იღვრებოდა. მოგვიანებით პოსტი წაშალეს, მედვედევის თანაშემწე ოლეგ ოსიპოვმა კი განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში მედვედევის გვერდი გატეხეს.

მედვედევის გვერდზე განთავსებულ პოსტში საქართველოზეც იყო საუბარი.

– საქართველოს შეერთებამდე ის საერთოდ არ არსებობდა. 1801 წლისთვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია 5 სუვერენული პოლიტიკური ერთეულისგან შედგებოდა: ქართლი და კახეთი, დედაქალაქით თბილისში, იმერეთი დედაქალაქით ქუთაისში, ორი სამთავრო – სამეგრელო და გურია ზღვის სანაპიროზე და სვანეთის სამთავრო მთებში ანუ საქართველო დღევანდელი საზღვრებით შეიქმნა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. საქართველო მიისწრაფოდა რუსეთისკენ, რადგან ესმოდა, რომ რუსეთი იყო მისი ერთადერთი მოკავშირე მუსლიმური სახელმწიფოების საკმაოდ მტრულ გარემოცვაში და დღეს იგივე ისტორია მეორდება – ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი, აფხაზეთი და საქართველოს დანარჩენი ტერიტორია შეიძლება გაერთიანებული იყოს რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, – ნათქვამი იყო პოსტში, რომელიც მოგვიანებით სოციალური ქსელიდან წაშალეს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა არ აწყობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილმა ხატზეც რომ დაიფიცოს, მართლა მივდივარ პოლიტიკიდანო, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა მაინც ექნება“

– ბატონო ვახტანგ, რამდენად რეალურია მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია? მისმა ადვოკატმა ვალერი გელბახიანმა განაცხადა, რომ ამის შესახებ სააკაშვილი განცხადებას თავად გააკეთებს.

– ადვოკატების მიერ გაკეთებული განცხადებები მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ნიადაგის ერთგვარი მოსინჯვა იყო, ერთი მხრივ, თუ რა რეაქციები მოჰყვებოდა ამას ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ – საზოგადოების მხრიდან.

საინტერესოა, გააკეთებს თუ არა სააკაშვილი ამ განცხადებას, რადგან ის უკვე არის ამ განცხადების მძევალი. მიუხედავად ყველაფრისა, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ის მაინც დარჩება ნაციონალური მოძრაობის ელექტორატის გარკვეული ნაწილის ლიდერად. სააკაშვილმა ხატზეც რომ დაიფიცოს, რომ მართლა მიდის პოლიტიკიდან და მართლაც შეეცადოს, იყოს ნეიტრალური, მას, როგორც პიროვნებას, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მაინც ექნება გავლენა.

– რას მოუტანს ქართულ პოლიტიკას მიხეილ სააკაშვილის წასვლა, როგორი შეიძლება იყოს შედეგი?

– რთული სათქმელია, რადგან, არ ვარ დარწმუნებული, რომ დღეს ხელისუფლებას 2024 წლის არჩევნებამდე მაინც მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა აწყობდეს. არ წავა ამაზე „ქართული ოცნება“. მას სხვა გეგმები აქვს.

– არჩევნების მოგება და ამისთვის ისევ სჭირდება სააკაშვილი, როგორც მთელი ცხრა წლის განმავლობაში?

– დიახ. თუმცა, არის ერთი ვარიანტი, რა შემთხვევაშიც, არ გამოვრიცხავ, რომ ეს შესაძლებლობა რეალური იყოს. თუ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა მართლაც მძიმეა და ხელისუფლებამ იცის, რომ შეიძლება, ღმერთმა დაიფაროს და, ფატალურად დასრულდეს, მაშინ ის ეცდება, მოიფიქროს გზა, ან მესამე ქვეყანას გადასცეს, ან უკრაინას და თავიდან აიცილოს ადამიანის გარდაცვალება, რადგან შეიძლება ამან მართლაც დაძაბოს პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ხელისუფლება მზად იქნება, რომ სააკაშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაუშვას.

ამ ფაქტმა შეიძლება მეორე პროცესიც გამოიწვიოს და ეს არ იქნება ნაკლებ საინტერესო.

– რას გულისხმობთ?

– ნაციონალური მოძრაობის ორად გაყოფას. ნაციონალების ერთი ნაწილი, რომელიც არსებული ხელმძღვანელობის პირობებში ცდილობდა სააკაშვილის პატიმრობიდან დახსნას, რაც ვერ ან არ გამოუვიდა.

– ნიკა მელიას ხელმძღვანელობით?

– დიახ, ნიკა მელიას ხელმძღვანელობით. არის მეორე, ბევრად უფრო რადიკალური ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ არაფერი იღონა ლიდერის დასახსნელად. ცხადია, ლიდერი მათთვის მიხეილ სააკაშვილია. ეს ნაწილი აქტიური ქუჩის აქციების, პროტესტის მომხრეა დღესაც.

არჩევნების წინ სწორედ ამ ორ ნაწილს შორის იქნება დიდი ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის დღეს არსებული ერთიანი ელექტორატის გადასანაწილებლად. თუ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში მაინც დარჩება 2024 წლამდე, მაშინ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ნაწილმა, თავად სააკაშვილის ხელმძღვანელობით, საიდანაც არ უნდა იყოს, ციხიდან თუ საავადმყოფოდან, ეს იქნება ვივამედი თუ საირმის სანატორიუმი, მიიმხროს უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე მელიას ხელმძღვანელობით. წინასაარჩევნოდ ეს დაპირისპირება ძალიან სერიოზული იქნება, რადგან სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ ჯგუფის სასარგებლოდ გადაწონოს მხარდამჭერთა რაოდენობა.

– სამკურნალოდ გაშვების თემას რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, კულუარული გარიგება უნდა შედგეს, მაგრამ ხელისუფლებიდან ვისთან? ივანიშვილის დონეზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება?

– რა თქმა უნდა. თუმცა ამ ეტაპზე ივანიშვილი ნამდვილად არ იქნება ჩართული. ამაში დარწმუნებული ვარ. საბოლოოდ, ცხადია, ივანიშვილმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

– ადვოკატებთან დაკავშირებით, გელბახიანსა და ხაჭაპურიძეს ვგულისხმობ, კითხვები გაგიჩნდათ, მათი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სააკაშვილის ხელისუფლებისადმი?

– გიული ალასანიამ თქვა, ძალიან სანდო ადამიანმა გვირჩია შალვა ხაჭაპურიძის აყვანაო. ალბათ ყველაფერი გასაგებია. რაც შეეხება ვალერი გელბახიანს, ის კიევშიც კი იყო ჩასული სააკაშვილთან. ამდენად, აქ კითხვა ნაკლებია. ყველა შემთხვევაში, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ადვოკატებს უნდა მიესვლებოდეთ მაინც ან კარგი კონტაქტები უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებასთან.

სოზარ სუბარი: „მივიღეთ გადაწყვეტილება, დავაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“

„ქართული ოცნებიდან“ გასულმა დეპუტატებმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააფუძნეს და არ გამორიცხავენ, რომ მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას.

აღნიშნულის შესახებ განცხადებას დეპუტატი სოზარ სუბარი ავრცელებს და აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად იმ შემთხვევაში შეიძლება გარდაიქმნას, თუ დაინახავენ, რომ „ხელისუფლება ომთან დაკავშირებულ წნეხს ვეღარ უძლებს“.

მისივე თქმით, მოძრაობა პარლამენტარებს, საკრებულოს წევრებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს გააერთიანებს.

– უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ომის საფრთხის მთავარი ფაზა ქვეყანამ უკვე გადალახა, ეს საფრთხე კვლავაც აქტუალურია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის დასაცავად სრული მობილიზაციაა საჭირო. საზოგადოება უნდა იყოს სრულად ინფორმირებული და მობილიზებული იმისათვის, რომ ქვეყანას საბედისწერო ომი აარიდოს თავიდან, რაზეც პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს გვეკისრება.

სწორედ ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, დავაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა – „ხალხის ძალა“, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად საზოგადოების სიმართლით აღჭურვა იქნება.

ხალხი უნდა იყოს სრულად ინფორმირებული იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც პოლიტიკის კულისებში ვითარდება. ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, საზოგადოება შეიძლება დარჩეს დაუცველი იმ საფრთხეების წინაშე, რომლებიც საქართველოში მშვიდობას და ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება.

საჭიროების შემთხვევაში, თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება ომთან დაკავშირებულ წნეხს ვეღარ უძლებს, არ გამოვრიცხავთ, საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ პარტიადაც გარდავქმნათ.

„ხალხის ძალა“ დაფუძნდება როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ჩვენს თანამოქალაქეებს, ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს, საკრებულოს წევრებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს გააერთიანებს. მისი უმთავრესი მიზანი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხალხი არის უმაღლესი სუვერენი სახელმწიფოში, ინფორმირებული საზოგადოება კი არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ხალხმა საკუთარი ძალაუფლება სათანადოდ განახორციელოს და ქვეყანა საშინაო თუ საგარეო საფრთხეებისგან დაიცვას.

საზოგადოება დაიღალა გარედან თავს მოხვეული პოლარიზაციით, რომელიც პოლიტიკურ სისტემას გაჯანსაღებისა და სათანადოდ განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. 2012 წლიდან, ხელისუფლება იძულებული იყო, გარკვეული ანგარიში გაეწია გარე ძალებისთვის, რომლებიც დანაშაულებრივ და თავისი არსით სრულიად ანტიევროპულ პოლიტიკურ პარტიას, ნაციონალურ მოძრაობას ხელოვნურად ასულდგმულებენ. საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ სახელმწიფო მომავალში მეტად იყოს დაცული ამგვარი ჩარევისგან, რომელიც კრიმინალების მფარველობისა და დანაშაულებრივი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის გზით, პოლიტიკური ველის პოლარიზაციისა და პოლიტიკური სისტემის სიმყიფის ხელოვნურად შენარჩუნებისკენ არის მიმართული. სწორედ ინფორმირებულმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა დაიცვას საქართველოში დემოკრატიული სისტემა, სახელმწიფო ინსტიტუტები და სამართლის უზენაესობა, რომლის გარედან შერყევის არაერთი უხეში მცდელობის მომსწრეც გავხდით განსაკუთრებით გასული ორი წლის განმავლობაში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მიერ მმართველი პარტიის დატოვების მთავარი მიზეზი გახდა საქართველოს ომში ჩართვის საფრთხე, რომლის პროვოცირების მცდელობაც იმავე გარე ძალებს უკავშირდება. მიგვაჩნია, რომ ომის საფრთხე ახლაც რეალურია და მისი თავიდან აცილების გარანტია მხოლოდ საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებამ შეიძლება შექმნას. ვფიქრობთ, მხოლოდ სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალას შეუძლია უზრუნველყოს ქართული სახელმწიფოს დაცვა უმძიმესი ზეწოლისგან, რომელიც გასული თვეების განმავლობაში 308 ევროპარლამენტარის მიერ მხარდაჭერილი ევროპარლამენტის რეზოლუციით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებითა და გარე ძალების მიერ რადიკალური ოპოზიციისა და მისი რადიკალური ქმედებების დაუფარავი მხარდაჭერით, მათ შორის პოლიტიზებული ენჯეოებისთვის ნიღბის სრულად ჩამოხსნით გამოიხატა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ამერიკის ელჩს მივმართეთ უმარტივესი შეკითხვებით ამ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

– ემიჯნებოდა თუ არა საელჩოს თანამშრომლის მიერ მოსამართლეზე მისი სახელით განხორციელებულ ზეწოლას;

– ემიჯნებოდა თუ არა ბაკურიანის შეკრებას, ლეგიტიმურად არჩეული მთავრობის გადადგომისა და ე.წ. ტექნიკური მთავრობის შექმნის მოთხოვნას, აგრეთვე რადიკალური ოპოზიციის კონკრეტული წარმომადგენლების განცხადებებს რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით, რომლებიც ამერიკის სახელით კეთდებოდა;

– ემიჯნებოდა თუ არა მეორე ფრონტისკენ მიმართულ რიტორიკას, რომელსაც ტირაჟირებენ, ერთი მხრივ, უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც მჭიდრო კოორდინაციაში არიან აშშ-სთან, ხოლო, მეორე მხრივ, ის ქართველი პოლიტიკოსები, „ენჯეოშნიკები“ და ე.წ. ჟურნალისტები, რომლებიც საელჩოს განსაკუთრებით ხშირი სტუმრები არიან;

– ემიჯნებოდა თუ არა ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქად მოხსენიებასა და მისი სანქციერების მოთხოვნას, აგრეთვე განცხადებებს არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით, რომლებიც მმართველობის სისტემის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად;

– ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე გამოთქვამდა თუ არა უკმაყოფილებას ომთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციით, დაჟინებით ითხოვდა თუ არა მისგან პოლიტიკაში დაბრუნებას და ითხოვდა თუ არა ასეთივე დაჟინებით რუსეთისთვის სანქციების დაწესებას.

ამერიკის ელჩს ამ კითხვებზე შეეძლო მარტივი პასუხების გაცემა, რაც საზოგადოებას დაარწმუნებდა, რომ: საელჩო არ ცდილობს სასამართლოზე არაფორმალური, კლანური გავლენის მოპოვებას; საელჩო არ ცდილობს ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას; საელჩოს არ სურს საქართველოს ომში ჩართვა; საელჩო არ ცდილობს საქართველოს ომში ჩასართავად ბიძინა ივანიშვილის ღია თუ ფარული არხებით დაშანტაჟებას.

სამწუხაროდ, ჩვენი კითხვების უპასუხოდ დატოვება საზოგადოებას სწორედ საპირისპიროში არწმუნებს. არ შეიძლება ერთს ამბობდე და ქმედებით სულ სხვა რამეს აჩვენებდე. თუ საზოგადოებას გაუმყარდა რწმენა, რომ ამერიკას საქართველოს ომში ჩართვა სურს და ხელისუფლების „სიჯიუტის“ ფონზე, მას აქეთკენ მიმავალ ერთადერთ გზად, ხალხის ნების წინააღმდეგ, უსამშობლო ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება ესახება, გვერწმუნეთ, საქართველოში ამერიკის რეპუტაციას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება, რაზეც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ამერიკის ელჩს დაეკისრება.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არა დასავლურ ინსტიტუტებზე თავდასხმა, არამედ სწორედ რომ საქართველოში დასავლური ინსტიტუტების რეპუტაციის დაცვა და გადარჩენაა.

ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა – „ხალხის ძალა“ – გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ საქართველოს საბოლოოდ აარიდოს ომის საფრთხე, ხელი შეუწყოს პოლარიზაციის შემცირებას, რაც სამართლიანობისა და სიმართლის გარეშე ვერ მიიღწევა, ქართველ საზოგადოებას აღუდგინოს ნდობა დასავლური ინსტიტუტების მიმართ, რისი აუცილებელი პირობაც საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ მათი დამოკიდებულების შეცვლაა და იზრუნოს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის. ჩვენი მიზანია ერთიანი და გამთლიანებული საქართველო, რომელიც ეფუძნება არა ფსევდო, არამედ ჭეშმარიტ ევროპულ ფასეულობებს და აქვს ძლიერი სუვერენიტეტი საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისა და რეალიზებისათვის, – აცხადებს სუბარი განცხადებაში.

„ცუდად გრძნობს თავს... საკვებს ვერ იღებს და არის მოტეხილი“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა ისევ მძიმეა. მისი ადვოკატის ინფორმაციით, ის საკვებს ვერ იღებს და თავს სუსტად გრძნობს.

– ცუდად არის, ცუდად გრძნობს თავს, გადაიყვანეს გადასხმებიდან რამდენიმე დღეა აბებით მკურნალობაზე. როგორც ჩანს, ამ აბებს ორგანიზმი ცუდად იღებს და შესაბამისად აქვს სხვადასხვა სიმპტომები. საკვებს ვერ იღებს და არის მოტეხილ მდგომარეობაში...

დღეს იწყება ჩვენი მხრიდან სამართლებრივი პროცედურები ამ ექსპერტების ჩამოსაყვანად და ნებართვების ასაღებად. იმედია არ გააჯანჯღლებენ, ექსპერტები ჩამოდიან, ისინი არ არიან პოლიტიკოსები, – ამბობს ხაჭაპურიძე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ორპოლუსიანობა ადვილად ვერ დაინგრევა“

მამუკა გიორგაძე: „ქართულ ოცნებას“ რეფორმების გატარება არ უნდა და დასავლეთს იმიტომაც დაუპირისპირდა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ბელადომანია ვერ დავძლიეთ. ეს მხოლოდ „ოცნების“ პრობლემა არ არის“

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს.

– სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე ჯერჯერობით მისი ადვოკატები და ოჯახის წევრები საუბრობენ. მმართველი პარტია აცხადებს, რომ მისი პოლიტიკაში დარჩენა-არდარჩენა არ არის დაკავშირებული სამართლის აღსრულებაზე. თუ სააკაშვილი ნამდვილად გაერიდება პოლიტიკას, იქნება თუ არა ეს ორპოლუსიანობის დასასრული საქართველოს პოლიტიკაში?

– ორპოლუსიანობა ადვილად ვერ დაინგრევა. მანკიერი ორპოლუსიანობის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს. დაახლოებით 35 წელიწადია, ამის მომსწრენი ვართ. ორპოლუსიანობაში მონაწილეობდნენ პარტიები, რომლებსაც ახლა არც იხსენებენ, მაგალითად, „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“. წინა პლანზე გამოსული პარტიები ამ პერიოდის განმავლობაში მუდმივად ქმნიდნენ მტერს, მტრის სახეს, რომელსაც უპირისპირდებოდნენ. მტრის სახის გარეშე ეს პოლიტიკური სისტემა არ მოქმედებს.

– სააკაშვილი გამოკვეთილი ლიდერი, ფაქტობრივად, ბელადია და, თუ ის გავიდა პოლიტიკიდან, ეს ხომ აისახება ამ პოლიტიკურ სისტემაზე?

– გარკვეულად, აისახება. თავიდან შეიქმნება ვაკუუმი, მერე შეეცდებიან ამ ვაკუუმის შევსებას. სააკაშვილს თავისი მიზნები აქვს. ის არ არის ნელსონ მანდელა, რომ იდეისთვის 27 წელი ციხეში იჯდეს, არც მერაბ კოსტავაა, რომ თავი გაწიროს. სააკაშვილის მიზანია გათავისუფლება. ყველა მისი ნაბიჯი მიმართულია საკუთარი თავის გადარჩენისკენ. ნაცმოძრაობა მყარი ერთობა არ არის. სააკაშვილს პარტიის წევრების მიმართ უკმაყოფილებაც დაუგროვდა.

– იმის გამო, რომ არასაკმარისად იაქტიურეს მის გამო?

– რასაკვირველია. სააკაშვილს ეგონა, რომ ნაციონალური მოძრაობა მას დაიცავდა, მეტ სოლიდარობას გამოუცხადებდა, მის გამო იაქტიურებდა. სააკაშვილს, მათთან შედარებით, ამ შემთხვევაში მორალური უპირატესობა აქვს. სააკაშვილის ლოგიკა ასეთია – ათი წელიწადი გათრიეთ ჩემი მხრებით, თქვენ კი არ დამიცავითო.

– ანტიდასავლური კამპანიის გაძლიერება საქართველოში დიდი ხანია, შეინიშნება. ბოლო დროს ამ კამპანიაში დაუფარავად და ენერგიულად ჩაებნენ „ქართული ოცნების“ წევრები და მმართველი პარტიიდან ფორმალურად გამოსული დეპუტატები. რასთან გვაქვს საქმე?

– ამაში განსაკუთრებულად ახალი არაფერია. საქართველოს ფაქტობრივად ყველა ხელისუფლება აგულიანებდა პრორუსულ ძალებს. იგივე შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირი. ეს სჭირდებოდათ (ახლაც ასეა) ორი რამისთვის. ჯერ ერთი, დასავლეთს აჩვენებდნენ, აი, როგორი რუსეთუმეები არიან ქვეყანაში, მე უკეთესი ვარ და ზოგიერთ ნაკლოვანებაზე თვალი დამიხუჭეო. მეორე მხრივ, რუსეთს აგებინებდნენ, თქვენინაებს არ ვერჩიო. ბოლოს ყველაფერი გაიშიფრა. ახლა სიტუაცია სხვანაირია. ომმა უკრაინაში ბევრი რამ შეცვალა. თუკი ომამდე ივანიშვილს მანევრირების საშუალება ეძლეოდა, დღეს ეს საშუალება მოესპო.

– და საქართველოს ხელისუფლება იძულებულია, მკაფიოდ დადგეს რომელიმე მხარეს?

– ცხადია. საქართველო არ გახლავთ თურქეთი და ჩინეთი, რომ ამ სიტუაციაში თავისუფალი ცურვა შეძლოს. ამიტომაც გამოჩნდა ის, რაზეც ვლაპარაკობთ. ვიღაცას ტყუილად ჰგონია, რომ ამ ვითარებაში რეფორმებსა და დემოკრატიულ ცვლელებებზე ხელი უნდა აიღოს. უკრაინა ომშია ჩაბმული და დასავლეთი მასაც კი მოუწოდებს ანტიკორუფციული ნაბიჯებისაკენ, სხვა რეფორმებისაკენ. თუ ომში მყოფ უკრაინას ეუბნებიან, სხვა საკითხებსაც მიხედეო, მშვიდობიან მდგომარეობაში საქართველოს არ ეტყვიან იმავეს? საქართველოსაც მოუწოდებენ, მიხედოს სასამართლოს, დაამყაროს კანონის უზენაესობა, გაათავისუფლოს ბიზნესი. ესენი ამბობენ, საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირება იოლიაო და ავიწყდებათ, რომ ბიზნესს მარტო დარეგისტრირება არ უნდა. უკრაინას ომის კანონების დარღვევასაც არ პატიობენ. საქართველომაც უნდა გადადგას ნაბიჯები განვითარებისკენ.

– მით უმეტეს, საქართველოს დაევალა 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება იმისთვის, რომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მივიღოთ.

– მოვლენები დაჩქარდა. საქართველოს ხელისუფლება 2024 წელს აპირებდა განაცხადის შეტანას ევროკავშირის წევრობაზე. ეს მოხდა 2 წლით ადრე. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც დაგეგმილზე ორი წლით ადრე მოხდა. იმის მაგივრად, რომ იმუშაონ რეფორმებზე, გაატარონ ცვლილებები, ყურადღება გადააქვთ. ლაპარაკობენ იმაზე, თითქოს დასავლეთი საქართველოს ომში ითრევდა და საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანა იხსნა.

– „ტვინების გამორეცხვა“ მიდის?

– ვაკვირდებით საბჭოურ მოვლენას. საბჭოთა კავშირი, სანამ არ დაინგრა, ვაშენებდით ილუზორულ კომუნიზმს. 2008 წელს ომში „გამარჯვება“ აზეიმეს ხალხს. ნატოდან „მაპზე უკეთესიც“ მოგვცეს. მუდმივად ხდება ხალხის გაბრუება ხელოვნური სცენებით, ყურადღების გადატანა რეალური, სასიცოცხლო პრობლემებიდან უაზრო კინკლაობაზე, ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების ჩაკვლა.

– ამას დაემატა თავდასხმები დასავლეთის მიმართ, განსაკუთრებით მიზანში ამოიღეს აშშ-ის ელჩი.

– სრული აბსურდია, როცა ელჩს უსვამ შეკითხვას შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ბიძინა ივანიშვილთან. დალოცვილო, თუ ცნობისწადილი გკლავს, ადექი და ჰკითხე ივანიშვილს! იმის თავი არა გაქვს, რომ ივანიშვილს ჰკითხო და მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს ელჩს სთხოვ პასუხს?

– ამ ყველაფრის შედეგად მმართველი გუნდის საგარეო კურსი ბუნდოვანი ხდება?

– უცნაური მდგომარეობაა. ჩნდება კითხვები: თუკი ასე ექცევი დასავლეთის ფლაგმანს, მაშინ რატომ გიწერია კონსტიტუციაში ევროატლანტიკური მისწრაფება? თუ ევროატლანტიკური კურსის მიმდევარი ხარ, მაშინ რატომ აგინებს აშშ-ის ელჩს? ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ საერთოდ არ ფიქრობს პოლიტიკაზე, ქვეყანაზე. ამ ხალხისთვის მთავარია ბელადზე ორიენტირება და მისი მომსახურება. ისეთი პერიოდია, რომელიც ქვეყნისთვის უნდა გამოვიყენოთ. ჩნდება შანსები საქართველოსთვის. ამის მაგივრად „ქართული ოცნება“ ბელადს ემსახურება. ბელადომანია ვერ დავძლიეთ. ეს მარტო „ოცნების“ პრობლემა არ არის. პოლიტიკოსების უმრავლესობა, როცა წარსულს იხსენებს, იმას კი არ ამბობს, ამა და იმ პროცესში მეც ვმონაწილეობდი, რაღაც შესანიშნავად გამოგვივიდა, რაღაც ვერ გავაკეთეთო. ეს ადამიანები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამა და ამ ბელადთან იყვნენ, მის გვერდით ტრიალებდნენ. ხრუშჩოვმა ამხილა სტალინი, ბრეჟნევმა – ხრუშჩოვი, სისტემა კი არ შეცვლილა. საბჭოთა ბელადებს მუდმივად ჰყავდათ მტრები. იქმნებოდა მტრის ხატები. დახვრეტილი სანდრო ახმეტელის მაგივრად სხვა დაინიშნა, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გაუშვეს, მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს. პოლიტიკას ჩამოაცილეს მამულიშვილები. ამიტომ ვიმყოფებით ასეთ მდგომარეობაში. უკრაინის ომმა მოგვცა შანსი, ახლა მაინც დავიწყოთ პარტნიორების დახმარებით სახელმწიფოს აღმშენებლობა.

– პარტნიორები თავდასხმების ობიექტები არიან.

– „ქართულ ოცნებას“ რეფორმების გატარება არ უნდა და დასავლეთს იმიტომაც დაუპირისპირდა. დასავლეთი თავისი რეკომენდაციებით, პრაქტიკულად, ეუბნება დეპუტატებს, თქვენი სახელითა და გვარით უნდა მოხვდეთ პარლამენტშიო.

– ამისთვის, სულ ცოტა, აუცილებელია ნორმალური საარჩევნო გარემო და დამოუკიდებელი სასამართლო.

– ცხადია. რეფორმები მოიტანს იმას, რომ დეპუტატები ბელადს კი არ აეკიდებიან, თვითონ იმუშავებენ იმისთვის, რომ არჩევნებში გაიმარჯვონ. ის დეპუტატები, რომლებიც აშშ-ის ელჩს უპირისპირდებიან, სადღაც გულწრფელები არიან: ამ ადამიანებს არ სურთ რეფორმები, ურჩევნიათ, რომ ბელადმა გაამწესოს პარლამენტში.

– უმრავლესობიდან ფორმალურად გამოსული დეპუტატები, სავარაუდოდ, პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაერთიანდებიან? თუ ასე მოხდა, „ქართული ოცნება“ და ეს ჯგუფი კოალიციის შეკვრას ხომ არ დაგეგმავენ?

– ჯერჯერობით ეს საკითხი ღიად რჩება. ჯერ ბიძინა ივანიშვილმაც არ იცის, რა და როგორ იქნება. სიტუაცია როგორც მოითხოვს, იმის მიხედვით იმოქმედებენ. შეიძლება, გამოსული დეპუტატები ახალ პარტიაში შეიყვანონ, შეიძლება, უკან, „ქართულ ოცნებაში“ დააბრუნონ. მთავარია, საზოგადოებამ აკონტროლოს ხელისუფლება. თავის დროზე, მილოშევიჩმა რაც ჩაიდინა, იმაზე მისთვის საკუთარ მოსახლეობას პასუხი არ მოუთხოვია. ამის შედეგი სერბებმა მოგვიანებით იწვნიეს. ახლა კოსოვოში რაც ხდება, იმასაც უნდა დაკვირვება.

– ჩრდილოეთ კოსოვოში სიტუაცია ამ ეტაპზე ჩაცხრა.

– რა მოხდა სინამდვილეში: სერბეთმა 5 წლით გააფორმა ხელშეკრულება კოსოვოსთან იმაზე, რომ სერბები ისარგებლებდნენ სერბული მანქანების ნომრებითა და დოკუმენტებით. ამის შემდეგ 5 კი არა, 7 წელიწადი გავიდა. კოსოვომ გამოაცხადა, რომ თვითონ ვალდებულება შეასრულა, ახლა სერბეთმაც უნდა შეასრულოს. თავის დროზე შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანის შესახებ. ცოტა ხანში სოხუმი დაეცა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ხელისუფლების არასწორი სვლების გამო ზარალდება ხალხი. ახლა საქართველოს, როგორც გითხარით, ეძლევა კიდევ ერთი შანსი, დაიწყოს აღმშენებლობა. საზოგადოებამ ეს უნდა გაიაზროს და გააქტიურდეს.

ალეკო ელისაშვილი: „ომისთვის უნდა ვემზადებოდეთ“

„მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი ეხმიანება სოციალურ ქსელში დიმიტრი მედვედევის პირად ანგარიშზე გამოქვეყნებულ ტექსტს, რომელიც მალევე წაიშალა.

მედვედევის გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, რომ საქართველო რუსეთის ნაწილი უნდა გახდეს – სტატუსი 10 წუთში წაიშალა.

როგორც ელისაშვილი წერს, რუსებს საქართველოსთან მიმართებით ძალიან საშიში და კონკრეტული გეგმები აქვთ:

– ეს დაწერა მედვედევმა და მერე წაშალა. ისტორიის გაგებაში რომ არაა, ფაქტია, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ რუსებს ჩვენთან მიმართებით ძალიან საშიში და კონკრეტული გეგმები აქვთ და რას აკეთებს ჩვენი სახელმწიფო ამის საპირისპიროდ: ევროპელებსა და ამერიკელებს ლანძღავს და ლაჩრულად „აბა ომი გინდას“ გაიძახის დღენიადაგ, იმის ნაცვლად, რომ ქვეყანას ვაძლიერებდეთ და ომისთვის ვემზადებოდეთ. დიახ, ომისთვის უნდა ვემზადებოდეთ ყველანი.

ზუსტად იმას არ ესხმიან თავს, ვინც ომისთვის მზადაა, თორემ ჩვენნაირ გასაცოდავებულ ქვეყნებს პირველ რიგში ჩაგრავენ და აგერ გვეუბნება კიდეც ეს ურჯულო მედვედევი, უნდა დაგიპყროთო, – წერს ელისაშვილი სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, გასულ ღამეს რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევის პირად გვერდზე სოციალურ ქსელში – ВКонтакте, გამოქვეყნდა სტატუსი, რომელშიც მედვედევი რუსეთის საზღვრების აღდგენასა და მეზობელ ქვეყნებზე საუბრობს.

ამ დროისთვის სტატუსი სოციალურ ქსელში აღარ იძებნება, პოსტი 10 წუთში წაიშალა, თუმცა მისი „სქრინშოტი“ საკუთარ ტელეგრამ-არხზე გამოაქვეყნა რუსმა ჟურნალისტმა და პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ქსენია სობჩაკმა.

მედვედევის პირად გვერდზე გამოქვეყნებულ ტექსტში საუბარია საქართველოზე და აღნიშნულია, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს.

გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტო Tass-მა გაავრცელა მედვედევის თანაშემწის კომენტარი, რომელშიც ოლეგ ოსიპოვი ამბობს, რომ მედვედევის გვერდი გატეხეს.

დავით არახამია: „საქართველო იქნება შემდეგი, მოსკოვში ამას უკვე აღარც მალავენ“

– საქართველოს მცდელობა, დაუახლოვდეს აგრესორს, გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ ტერიტორიულ დანაკარგს, – ამის შესახებ უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამიამ „ტელეგრამზე“ გაავრცელა.

ის გამოეხმაურა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევის გვერდზე გამოქვეყნებულ პოსტს, რომელიც რუსეთის იმპერიალისტურ მოსაზრებებს ეხებოდა.

არახამიას განცხადებით, რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა და აგრესორს მორგებული ქართული ხელისუფლება გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ საქართველო იქნება შემდეგი და მოსკოვში ამას უკვე აღარც მალავენ.

– როგორც ვამბობდი რუსებთან მეგობრობა სუვერენიტეტის შენარჩუნების გარანტირებას ვერ ახდენს. ამას ჩვენ უკვე ვხედავთ ბელარუსის მაგალითზე.

საქართველოს მცდელობა დაუახლოვდეს აგრესორს, გამოიწვევს კიდევ უფრო ტერიტორიულ დანაკარგს. მაგრამ პრორუსულ ხელისუფლებას თბილისში ეს ჯერ კიდევ არ ესმის.

რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა, რომელიც აგრძელებს ბიზნესის კეთებას სანქციებისთვის გვერდის ავლით, და აგრესორს მორგებული ქართული ხელისუფლება გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ საქართველო იქნება შემდეგი. და მოსკოვში ამას უკვე აღარც მალავენ.

ამიტომ დეოლიგარქიზაცია უნდა იყოს ნომერ პირველი მიზანი ქართველი ხალხისთვის. ეს ევროპისკენ წასვლის ერთადერთი შესაძლებლობაა, რათა არ აღმოჩნდეთ რუსი აგრესორის თათებში, – განაცხადა არახამიამ.

ცნობისთვის, დიმიტრი მედვედევის გვერდზე დაიდო პოსტი, რომელიც რუსეთის იმპერიალისტურ მოსაზრებებს ეხებოდა და ნათქვამი იყო, რომ კიევის დაბრუნების შემდეგ, რუსეთი თავის საზღვრებს აღადგენს, რომელთა გაფართოებისთვის წლების განმავლობაში სისხლი იღვრებოდა. მოგვიანებით პოსტი წაშალეს, მედვედევის თანაშემწე ოლეგ ოსიპოვმა კი განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში მედვედევის გვერდი გატეხეს.

მედვედევის გვერდზე განთავსებულ პოსტში საქართველოზეც იყო საუბარი.

– საქართველოს შეერთებამდე ის საერთოდ არ არსებობდა. 1801 წლისთვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია 5 სუვერენული პოლიტიკური ერთეულისგან შედგებოდა: ქართლი და კახეთი, დედაქალაქით თბილისში, იმერეთი დედაქალაქით ქუთაისში, ორი სამთავრო – სამეგრელო და გურია ზღვის სანაპიროზე და სვანეთის სამთავრო მთებში ანუ საქართველო დღევანდელი საზღვრებით შეიქმნა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. საქართველო მიისწრაფოდა რუსეთისკენ, რადგან ესმოდა, რომ რუსეთი იყო მისი ერთადერთი მოკავშირე მუსლიმური სახელმწიფოების საკმაოდ მტრულ გარემოცვაში და დღეს იგივე ისტორია მეორდება – ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი, აფხაზეთი და საქართველოს დანარჩენი ტერიტორია შეიძლება გაერთიანებული იყოს რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, – ნათქვამი იყო პოსტში, რომელიც მოგვიანებით სოციალური ქსელიდან წაშალეს.

ვახტანგ გომელაურმა გუდაურთან მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული მფრინავები და მაშველები I ხარისხის მედლით დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, გუდაურთან მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოვდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი ვერტმფრენი, რომლის დახმარებით გუდაურში ჩამოვარდნილი პარაპლანისტების სამაშველო ღონისძიება მიმდინარეობდა, 29 ივლისს ჩამოვარდა.

გუდაურთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების სამოქალაქო პანაშვიდი გუშინ სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა.

უზენაესმა სასამართლომ ლევან ზურაბაშვილს მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში რამდენიმე პირის მძევლად აყვანის საქმეზე 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ორი ან მეტი პირის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში მსჯავრდებულ ლევან ზურაბაშვილს უზენაესმა სასამართლომ მსჯავრი დაუმძიმა და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა და ძალაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა, რომლის მიხედვითაც, ზურაბაშვილი ორი, ან მეტი პირის მიმართ მძევლად ხელში ჩაგდების მუხლით დამნაშავედ იქნა ცნობილი.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში მსჯავრდებულ ზურაბაშვილის ადვოკატი, ალექსანდრე კობაიძე აცხადებს, მესამე ინსტანციის სასამართლომ დაცვის მხარის პოზიცია, რომ ლევან ზურაბაშვილის მხრიდან იძულებას ჰქონდა ადგილი და არა მძევლების ხელში ჩაგდებას, არ გაითვალისწინა.

– მოგეხსენებათ, უზენაესი სასამართლო საქმეებს არ განიხილავს, მაგრამ მოხდა სასწაული, გაიღვიძა და ფაქტობრივად, თითი დაუქნია ყველა იმ ადამიანს, ვისაც შინაგანად სოციალური პროტესტი გააჩნია და მკაცრად დასაჯა ლევან ზურაბაშვილი. საქმის დეტალებიდან ყველამ კარგად იცის, რომ ე.წ. დაზარალებულები ამბობდნენ, რომ თავს დაზარალებულად არ მიიჩნევდნენ და რომ ყველას თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ჰქონდა. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა პროკურორის საჩივარი და იმ მსჯელობაში შევიდა, რომ ზურაბაშვილმა ეს ადამიანები მძევლად აიყვანა, რაც რეალობას არ შეესაბამება. ჩემი შეფასებით, ეს არის ინკვიზიცია იმ საზოგადოების წინააღმდეგ, ვინც კი ბედავს და ხმას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იღებს.

თავდაპირველად, სააპელაციომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეცვალა, მუხლი გადააკვალიფიცირა და ზურაბაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მხრიდან. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ ეს იყო ე.წ. იძულება და არა თავისუფლების უკანონო აღკვეთა. უზენაესმა სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა, რომ ეს იყო მძევლად ხელში ჩაგდება, – განაცხადა კობაიძემ.

ცნობისთვის, წერეთლის გამზირზე მდებარე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში 31 წლის დავით ზურაბაშვილი შეიჭრა და 19 ადამიანი მძევლად აიყვანა. თავდამსხმელთან სამართალდამცავების მიერ რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შედეგად, ზურაბაშვილმა მძევლად აყვანილი ადამიანები ეტაპობრივად გაათავისუფლა.

დავით ზურაბაშვილს საქართველოს პროკურატურამ მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე ბრალი საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის მძევლად ხელში ჩაგდებას.

შსს-მ ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში ჩხუბის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში ათობით პირის ჩხუბის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც უწყებაში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 239-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ხულიგნობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში მყოფი პირები, მუსიკის ჩართვის გამო ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, რესტორნის სტუმრების ნაწილს მუსიკის ჩართვა სურდა, ხოლო სხვა მაგიდასთან მყოფები მუსიკის ჩართვას აპროტესტებდნენ, ქვეყანაში გამოცხადებული გლოვის დღის გამო, რასაც მხარეებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

საფრანგეთში ჩასული ქართველი თავს უკრაინელ ლტოლვილად ასაღებდა

ფრანგული მედია წერს, რომ ნიცაში ყალბი პასპორტით ჩასული ქართველი თავს უკრაინელ ლტოლვილად ასაღებდა.

მედიის ცნობით, 60 წლის კაცი გასულ ორშაბათს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ცენტრში მივიდა. მას საფრანგეთში დროებით ბინადრობის ნებართვის მიღება სურდა.

უწყებაში კაცმა ყალბი პასპორტი წარადგინა, თუმცა თანამშრომლების მოტყუება ვერ შეძლო.

კურიერი, რომელსაც მატარებელი დაეჯახა, გარდაიცვალა

გლოვოს კურიერი, რომელსაც ბათუმი-თბილისის მატარებელი დაეჯახა, გარდაიცვალა.

ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს.

საქართველოს რკინიგზის ცნობით, კურიერი ლიანდაგზე გადადიოდა, რა დროსაც მატარებელი დაეჯახა.

ავარია ქვიშხეთში — მძღოლი უგონოდაა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა – ინფორმაციას ამის შესახებ თV ივერია ავრცელებს.

მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. მძღოლი უგონო მდგომარეობაშია და გადაყვანილია საავადმყოფოში. მძიმედ არის დაშავებული კიდევ ორი ადამიანი.

– ქვიშხეთთან, ბორჯომის მაგისტრალზე, საშინელება ხდება. მძღოლი უგონო მდგომარეობაში გადაიყვანა სასწრაფო დახმარებამ, ასევე მძიმედ დაშავდა ორი პირი, – ამბობენ თვითმხილველები.

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, ყაზახეთისა და საბერძნეთის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 524,94 გრამი) გამოვლინდა.

– არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 42 154,61 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით ჯარიმა, ჯამში 42 154,61 ლარის ოდენობით შეეფარდათ, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქალმა შეიარაღებული მძარცველი პირსახოცით ცემა

ნიდერლანდების ქალაქ დევენტერში თურქული წარმომავლობის ქალმა სამზარეულოს პირსახოცისა და საწმენდი სპრეის გამოყენებით სცემა მისი შვილის საცხობში შეჭრილ მძარცველს.

დანით შეიარაღებული მძარცველი მივიდა სალაროსთან, რომელთანაც 47 წლის ლატიფ პეკერი იდგა. ქალი როგორც კი მიხვდა, რაში იყო საქმე, ხელი დასტაცა სამზარეულო პირსახოცსა და საწმენდ საშუალებას და მამაკაცს დაუშინა. რამდენიმე წამში საცხობში მყიდველი შევიდა და ქალს მძარცველის გაგდებაში დაეხმარა. მომხდარი სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს.

მოგვიანებით პეკერმა განაცხადა, რომ ის ვერც კი მიხვდა, მძარცველი დიდი დანით რომ იყო შეიარაღებული. მყიდველმა, რომელიც ქალს მძარცველის გაგდებაში დაეხმარა, ის არ მიატოვა და მის გვერდით დარჩა მისი ნათესავების ადგილზე მისვლამდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხულოში სატვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ხულოს მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 26 წლის მამაკაცი დაიღუპა, დაშავდა კიდევ ერთი პირი.

შემთხვევა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მაშინ მოხდა, როდესაც სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„ჩინეთი ყველა საჭირო ზომას მიიღებს“

– ჩინეთი აუცილებლად მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მტკიცედ დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ვიზიტის საპასუხოდ, – ასე გამოეხმაურა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ისი ნენსი პელოსის ტაივანში ვიზიტს.

აღნიშნულ კომენტარს ჩინეთის სამთავრობო მედიასაშუალება „Global Times“ ავრცელებს.

– ყველა შედეგი უნდა აიტანონ აშშ-მ და „ტაივანის დამოუკიდებლობის“ სეპარატისტულმა ძალებმა, – განაცხადა ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ამასთან, „Global Times“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ისი აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან კამბოჯაში შეხვედრას არ გეგმავს, რაც, როგორც აღნიშნული სამთავრობო მედიასაშუალება წერს, „ასახავს სიტუაციის სიმძიმეს, ისევე, როგორც ტაივანის საკითხთან დაკავშირებით შეერთებული შტატების პროვოკაციის მიმართ ჩინეთის აღშფოთებას“.

გარდა ამისა, „Global Times“ წერს, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ხუთშაბათიდან კვირამდე მნიშვნელოვან სამხედრო წვრთნებსა და სასწავლო აქტივობებს ჩაატარებს ტაივანის მიმდებარე ექვს რეგიონში.

ნენსი პელოსი: „ამერიკის სოლიდარობა ტაივანის მოსახლეობისადმი მნიშვნელოვანია“

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ ტაივანში ვიზიტი გამოხატავს აშშ-ის ურყევ მხარდაჭერას.

პელოსის თქმით, მსოფლიო არჩევანის წინაშე დგას ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის.

– ჩვენი კონგრესის დელეგაციის ვიზიტი ტაივანში გამოხატავს ამერიკის ურყევ მხარდაჭერას ტაივანის ძლიერი დემოკრატიის მიმართ. ჩვენი ვიზიტი არის ჩვენი ფართო მოგზაურობის ნაწილი ინდო-წყნარ ოკეანეში – მათ შორისაა სინგაპური, მალაიზია, სამხრეთ კორეა და იაპონია. ვიზიტები მიზნად ისახავს ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებასა და ეკონომიკური პარტნიორობის გაღრმავებას.

ჩვენი დისკუსიები ტაივანის ხელმძღვანელობასთან ფოკუსირებული იქნება ჩვენი პარტნიორისადმი ჩვენი მხარდაჭერის დადასტურებისა და ჩვენი საერთო ინტერესების ხელშეწყობისადმი, მათ შორის თავისუფალი და ღია ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის წინსვლისადმი. ამერიკის სოლიდარობა ტაივანის 23 მილიონი მოსახლისადმი დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, რადგან მსოფლიო არჩევანის წინაშე დგას ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის, – ნათქვამია განცხადებაში.

„აზოვი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მოუწოდებს, რუსეთი „ტერორისტულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადოს

რუსეთის უზენაესი სასამართლოს მიერ „აზოვის“ პოლკის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას „აზოვი“ გამოეხმაურა.

მათი განცხადებით, უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამართლებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ამასთან, „ტელეგრამის“ გვერდზე გავრცელებული განცხადების თანახმად, „აზოვი“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს მოუწოდებს, უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების საპასუხოდ ის „ტერორისტულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადოს.

ცნობისთვის, გუშინ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ „აზოვის“ პოლკი ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა და რუსეთის ტერიტორიაზე მისი მოქმედება აკრძალა.

მიხაილო პოდოლიაკი: „რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა“

– დროა, შავს ოფიციალურად დავარქვათ შავი – რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა, – ამის შესახებ განცხადება უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა „ტვიტერის“ გვერდზე გაავრცელა.

ის დასავლელ პარტნიორებს მიმართავს კითხვით, რატომ სურთ მათ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნება მაშინ, როდესაც მისი სისხლიანი დანაშაულები ასჯერ აღემატება ტერორისტული ორგანიზაციების დანაშაულებს.

ამასთან, პოდოლიაკმა რუსეთი „ალ-ქაიდას“, „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ჰეზბოლას“ შეადარა.

– ძნელად თუ უნდა ვინმეს დიპლომატიური ურთიერთობების ქონა „ალ-ქაიდასთან“, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ან „ჰეზბოლასთან“ და რატომ სურს დასავლეთს, ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ქვეყანასთან, რომლის სისხლიანი დანაშაულების მასშტაბიც ასჯერ უფრო მეტია, ვიდრე ყველა ცნობილი ავაზაკისა? – დროა, შავს ოფიციალურად დავარქვათ შავი – რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა, – განაცხადა პოდოლიაკმა.

ცნობისთვის, მოსკოვი ვაშინგტონს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოდ აღიარებს.

მოსკოვი ვაშინგტონს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით დაემუქრა

მოსკოვი ვაშინგტონს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოდ აღიარებს. შესაბამისი განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ გაავრცელა.

– საკუთარი კანონმდებლობის ამგვარი გამოყენება საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ სენატორებისა და კონგრესმენების მიერ შეესაძლოა საშინელ სასჯელად აღიქმებოდეს, რომელსაც შეუძლია აიძულოს რუსეთი, იცხოვროს შეერთებული შტატების მიერ გამოგონილ წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის შესაბამისად.

გულუბრყვილოები. ამასთან, ავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ქმედება ბადებს უკუქმედებას და მსგავსი ნაბიჯის ლოგიკური შედეგი შეიძლება გახდეს დიპლომატიური კავშირების გაწყვეტა. ამით ვაშინგტონი რისკავს, საბოლოოდ გადაკვეთოს ხაზი, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. ამას მოჰყვება მთელი რიგი შედეგებიც. ჩვენ მდგომარეობის განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის მზად ვართ და, თუ ვაშინგტონში წავლენ მოსკოვთან ურთიერთქმედების სრულ შეჩერებაზე, ჩვენ გადავიტანთ, – განაცხადა ზახაროვამ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კეიტ მიდლტონი საზოგადოებაში მოკლე შარვლით გამოჩნდა

კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინმა საყოველთაო ყურადღება იმით მიიპყრო, რომ საზოგადოებაში მოკლე შარვლით გამოჩნდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კეიტ მიდლტონმა საქველმოქმედო ფონდის მიერ ორგანიზებულ იალქნიანი იახტების რეგატაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც პლიმუთში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ სამეფო ოჯახის წარმომადგენელი თავად ახორციელებს საქველმოქმედო ფონდის პატრონაჟს. სპორტულ ღონისძიებაზე ჰერცოგინია Erdem-ის ბრენდის ქაშმირის ჯემპრსა და 199 ფუნტ სტერლინგად ღირებულ Holand Cooper-ის მოკლე შარვალში იყო გამოწყობილი, ფეხზე კი 59 ფუნტ სტერლინგად ღირებული შუპერგას კლასიკური კედები ეცვა.

პრინც უილიამის მეუღლის თაყვანისმცემლები ჰერცოგინიას გარეგნობით კმაყოფილი დარჩნენ და საკუთარ კომენტარებში მისი მისამართით ქების სიტყვები არ დაუშურებიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ექსპერტებმა საქართველო მეთოთხმეტე ნომრად განთესეს

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, სადაც მომავალი ევრობასკეტის რეიტინგია აღწერილი. საქართველოს ნაკრები, ტურნირის მონაწილე 24 გუნდს შორის, მე-14 ადგილზეა. ეს არ არის ფიბა-ს ოფიციალური რეიტინგი და ევროპის ჩემპიონატის წინ კალათბურთში ჩახედული კომპეტენტური ადამიანების ნააზრევია.

აი, რა წერია ჩვენს ნაკრებზე ფიბა-ს ვებგვერდზე:

– საქართველო იმ ნაკრებთა სიაშია, რომელთაც ამჯერად თამაში მშობლიურ გარემოში მოუწევთ. ევრობასკეტისთვის აშენებული ახალი არენა დიდი ზურგი უნდა იყოს ქართველი კალათბურთელებისთვის, რომელთაც გასულ თვეში ესპანეთთან მატჩში მნიშვნელოვანი მოგების გემო შეიგრძნეს, თუმცა, იმავე მეტოქესთან ჯგუფურ ეტაპზე თამაშს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა ექნება. საქართველოს ნაკრებს ერთ-ერთი უძლიერესი წინა ხაზი ეყოლება, მას შემდეგ, რაც თორნიკე შენგელია-გიორგი შერმადინის დუეტს გოგა ბითაძე შეუერთდება.

ამ რეიტინგით საქართველო ისეთ ნაკრებებს უსწრებს, როგორიც უკრაინა, ჩერნოგორია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და პოლონეთი არიან, საქართველოს უკან არიან ჩვენი ჯგუფის სხვა წევრები, ბელგია და ბულგარეთიც, სამაგიეროდ, ჩამოვრჩებით ხსენებულ ესპანეთსა და თურქეთს. სრულად კლასიფიკაცია ასე გამოიყურება:

1.სლოვენია; 2.საფრანგეთი; 3.საბერძნეთი; 4.სერბეთი; 5.ლიეტუვა; 6.ესპანეთი; 7.თურქეთი; 8.იტალია; 9.გერმანია; 10.ჩეხეთი; 11.ხორვატია; 12.ფინეთი; 13.ისრაელი; 14.საქართველო; 15.პოლონეთი; 16.ბოსნია; 17.ჩერნოგორია; 18.ბელგია; 19.უკრაინა; 20.დიდი ბრიტანეთი; 21.უნგრეთი; 22.ბულგარეთი; 23.ესტონეთი; 24.ნიდერლანდები.

ფიბა-მ მომავალ შეჯიბრებას უკვე უწოდა ისტორიაში საუკეთესო ევრობასკეტი და 11 კალათბურთელი ჩამოთვალა, რომელთა მონაწილეობაც მას ასეთად გახდის. აღსანიშნავია, რომ გამორჩეულ კალათბურთელთა შორის საქართველოს ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელიაც მოხვდა, ისეთ ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც იანის ადეტოკუნმპო (საბერძნეთი), ლუკა დონჩიჩი (სლოვენია), ნიკოლა იოკიჩი (სერბეთი), რუდი გობერი (საფრანგეთი), ჩედი ოსმანი (თურქეთი), ტომაშ სატორანსკი (ჩეხეთი), სერხიო ლული (ესპანეთი), დენის შრიოდერი (გერმანია), ნიკოლო მელი (იტალია) და იონას ვალანჩიუნასი (ლიეტუვა) არიან.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2022 წლის ჩემპიონატი 1-18 სექტემბერსაა დაგეგმილი და ჯგუფური ეტაპის მატჩებს თბილისის გარდა, მილანი (იტალია), პრაღა (ჩეხეთი) და კიოლნი (გერმანია) მიიღებს. ფლეი ოფი კი, ბერლინში (გერმანია) ჩატარდება. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ა ჯგუფში მოხვდა და მეტოქეებად ესპანეთი, თურქეთი, ჩერნოგორია, ბელგია და ბულგარეთი ეყოლება.

ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიო წონებს გამოტოვებს



10-14 აგვისტოს ეკვადორის ქალაქ გუაკიალში ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის მსოფლიოს პირადგუნდური ჩემპიონატი გაიმართება. ცხადია, იქ საქართველოც იქნება წარმოდგენილი, მაგრამ არასრული შემადგენლობით გამოვა – ბიჭებში 9, გოგონებში კი 4 სპორტსმენით ვიასპარეზებთ.

ბიჭები 7-დან 5 წონაში გამოვლენ – გამოტოვებენ 66 და 100 კილოგრამებს, გოგონებს 4 წონაში ეყოლებათ წარმომადგენელი.

მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ და მისმა შტაბმა წონების გამოტოვება ამჯობინეს, რათა სხვა წონების გაორების ხარჯზე ისეთი ფალავნები წაეყვანათ, რომლებსაც მედლის მოპოვების მეტი შანსი აქვთ და გუნდში კონკურენციის შექმნა შეუძლიათ. ამიტომ ნაკრებში ერთბაშად 4 წონაა გაორებული.

ტურნირისთვის მოსამზადებლად ნაკრები ბორჯომში იყო შეკრებაზე, გაერთიანებული გუნდი კი ეკვადორში დღეს გაფრინდება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

ვაჟები: გიორგი სარდალაშვილი; თორნიკე მაზიაშვილი (ორივე 60), გიორგი ტერაშვილი; კოტე კაპანაძე (ორივე 73), გიორგი ჯაბნიაშვილი (81), აკაკი ჯაფარიძე; თორნიკე ფოლადიშვილი (ორივე 90), ირაკლი დემეტრაშვილი; შალვა გურეშვიძე (ორივე +100).

გოგონები: ნინო ლოლაძე (57), ეთერ ასკილაშვილი (63), ნინო გულბანი (70), ანა შერაზადიშვილი (+78).

მანჩესტერმა რონალდუს საქციელი დაუწუნა

მანჩესტერ იუნაიტედმა კრიშტიანუ რონალდუს უსაყვედურა. მანჩესტერელებმა პორტუგალიელს პირდაპირ უთხრეს, რომ ის, რაც რაიო ვალეკანოსთან ამხანაგური მატჩის დროს გააკეთა, ახალგაზრდებისთვის ცუდი მაგალითია.

საქმე ის არის, რომ პირველი ტაიმის მერე შეცვლილმა პორტუგალიელმა თამაშის ბოლომდე არ დაიცადა და სტადიონი დატოვა. არადა, ერიკ ტენ ჰაგმა ბევრჯერ თქვა, რომ ახალი იუნაიტედის ქვაკუთხედი ფეხბურთელების ერთსულოვნება უნდა იყოს.

მსოფლიოს 5-გზის საუკეთესო ფეხბურთელმა სტადიონი საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე დატოვა. ჩვეულებრივ, ამხანაგური შეხვედრების დამთავრების შემდეგ, შეცვლილი ფეხბურთელები მინდორზე დარჩენილებთან ერთად გროვდებიან ხოლმე და მწვრთნელის ცხელ-ცხელ შენიშვნებსა და მოსაზრებებს უსმენენ.

სხვათა შორის, რონალდუ იმ დღეს ერთადერთი მანჩესტერელი არ იყო რომელიც თამაშის დამთავრებას არ დაელოდა. ტრიბუნაზე იჯდა დიოგო დალოტიც, რომელსაც შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია და ბოლომდე არც მან დაიცადა.

კლუბის მავანმა თანამშრომელმა ინგლისურ მედიას ამბავი გამოუტანა, რომ იუნაიტედი კრიშტიანუს დასჯას არ აპირებს, მაგრამ, ყველამ აღნიშნა, რომ ცუდი სანახავია, როდესაც ფეხბურთელი სტადიონს თამაშის დამთავრებამდე ტოვებს.

– ტრიბუნებზე ხალხი იყო, რომელთაც მატჩის დამთავრების შემდეგ რონალდუს მისალმება უნდოდათ. ფეხბურთელებს მათთვის ტაში უნდა დაეკრათ, – წერს მედია.

მანჩესტერ იუნაიტედისა და რაიო ვალეკანოს შეხვედრა კი 1:1 დასრულდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სანდრო მამუკელაშვილი: „შეთავაზება 4 ქვეყნიდან მქონდა და საქართველო ავირჩიე“

სანდრო მამუკელაშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად სლოვენიაში შეკრებაზე იმყოფება. 23 წლის ფორვარდი ნბა-ს რეგულაციების გამო გუნდთან ერთად სრულფასოვან ვარჯიშს 4 აგვისტოდან დაიწყებს. მანამდე სანდრომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრესსამსახურს ინტერვიუ მისცა, სადაც ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

სანდრო მამუკელაშვილი:

– კალათბურთში ვიპოვე ის სიყვარული, რაც სხვა სპორტში ვერ აღმოვაჩინე. ბებიაჩემი კალათბურთელი იყო, მამაჩემიც და ჩემი ძმაც კალათბურთს თამაშობდნენ. თავიდან კალათბურთი არ მომეწონა, სხვა სპორტის სახეობები ვცადე, მაგრამ შემდეგ ისევ ამ სპორტს დავუბრუნდი.

– ბავშვობაში კერპი თუ გყავდა?

– ბევრი კერპი მყავდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე მაღლა კობი და ლებრონი იდგნენ. ლებრონის ისეთი ძლიერი გულშემატკივარი ვიყავი, ხანდახან ვამბობდი, რომ კობი ასეთი მაგარი მოთამაშე არ არის – თქო. თუმცა, როცა გავიზარდე, შემდეგ გავიზრე, თუ რა მაგარი მოთამაშე იყო და რამხელა მენტალური ძალა ჰქონდა, გადაელახა ბევრი რაღაც თავის კარიერაში. ლებრონს თამაშში რომ ხედავ და მის ენერგიას გრძნობ, ხვდები, რა მაგარი მოთამაშეა და რა ძალა აქვს.

– ახლა გუნდში იანის ადეტოკუმპოსთან ერთად ხარ, რომელიც ასევე დიდ ვარსკვლავად ითვლება.

– დღეს იანისი გაუჩერებელი და საუკეთესო მოთამაშეა. ძალიან კარგი ტიპია – მეგობრული, სულ ხუმრობს და ცდილობს, გუნდი შეკრას. იანისის გაჩერება ძალიან რთულია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. უბრალოდ, 4 კაცი უნდა დაუყენო. ერთ-ერთი თამაშიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარ სახლში წამიყვანა. შემიყვანა კაბინეტში და მაჩვენა ყველა ჯილდო, რაც კი მიღებული აქვს. იმ დროს სულ სხვა დონის მოტივაცია დამეუფლა. როდესაც ხედავ, ასეთი რაღაცები აქვს სახლში და ამდენ შრომას და ენერგიას დებს, გინდა, თავადაც უფრო მეტი ივარჯიშო და მიაღწიო შენს მაქსიმუმს.

– მილუოკიში მარტო ადეტოკუმპოსთან მეგობრობ?

– პირიქით, გუნდში ჩემი საუკეთესო მეგობრები ჯრუ ჰოლიდეი და ბობი პორტისი არიან. ეს 2 ადამიანი ყოველთვის მხარში მიდგას და მეხმარება.

– ზაზა ფაჩულია მილუოკიში პოპულარულია? რას ამბობენ მასზე?

– არა მარტო მილუოკიში, არამედ ამერიკაში ზაზას ყველა ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიონალად მიიჩნევს. იცოდა თავისი როლი, 100%-ით იხარჯებოდა. სადაც უთამაშია, მათ შორის მილუოკიშიც, ზაზა ყველას ძალიან უყვარს, სახელი აქვს დატოვებული. როცა რაღაც შეკითხვა მაქვს, როგორც ჩემს უფროს ძმას, მას ვურეკავ. ჩემი ძალიან დიდი მრჩეველია.

– არადა, ზაზას რეკორდი მოხსენი. მისი საუკეთესო მაჩვენებელი (27 ქულა) ერთით გადაფარე.

– 28 ქულის ნაცვლად 30 უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ბურთი არ ჩამითვალეს. არა უშავს, ახალ სეზონში ვეცდები, რომ გავაუმჯობესო. იმ მომენტში არ ვიცოდი, რომ რეკორდი იყო, არ ვაქცევდი ყურადღებას. თამაშის შემდეგ დედაჩემს ჰქონდა მოწერილი – ბილოცავ, საქართველოს რეკორდი 27 ქულა იყო, ზაზას ჰქონდა დამყარებული და შენ 28 გაქვს. ეს რომ ჩემმა გუნდელებმა გაიგეს, მიდლტონმა ზაზას დაურეკა და ხუმრობით უთხრა, რომ მისი რეკორდი მოიხსნა და აღარ იყო საუკეთესო, თამაშის მერე ზაზას ველაპარაკე და კმაყოფილი იყო.

– საქართველოს ნაკრებში ბევრი არ გითამაშია და ამის შანსი ახლა გეძლევა.

– საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. სულ დავდიოდი ეროვნული გუნდის თამაშებზე, გიორგი ცინცაძის თამაში პატარაობიდან მახსოვს და ახლა ნაკრებში მის გვერდით ყოფნა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. სულ ვუყურებდი თორნიკე შენგელიას, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ ზაზა ფაჩულიასა და ვიქტორ სანიკიძის თამაშების ყურებაში გავიზარდე, სულ ვცდილობდი მათთვის მიმებაძა და ის გამეკეთებინა, რასაც თამაშზე ისინი აკეთებდნენ. ნაკრებში ყოფნა ბევრს ნიშნავს ჩემთვის და დიდი სტიმულია. არ დავმალავ, რამდენიმე ნაკრებიდან მქონდა შეთავაზება, მაგრამ სულით და გულით ქართველი ვარ, საქართველოს ნაკრების ყურებაში გავიზარდე, კალათბურთი მათ შემაყვარეს. როცა სპორტის სასახლეში საქართველოს ნაკრების თამაშებს ვუყურებდი, ჩემი ოჯახიც აქ იყო და სად უნდა წავსულიყავი – როგორც კი საშუალება მომეცა, რომ მე-2 პასპორტი ამეღო, მაშინვე საქართველო ავირჩიე.

– რას უნდა ელოდნენ გულშემატკივრები საქართველოს ნაკრებიდან მომავალ ევრობასკეტზე?

– ჩემი აზრით, ძალიან კარგი ნაკრები გვყავს და შეგვიძლია, შორს გავიდეთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ძალიან დაგვეხმარება ის, რომ ევრობასკეტი ჩვენთან ტარდება. ვიცით, რამდენი გულშემატკივარი მოვა და რამხელა მხარდაჭერა გვექნება, მაგრამ, ნამდვილად ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ნაკრები, მოთამაშეები და ლიდერები გვყავს საიმისოდ, რომ შორს გავიდეთ და საქართველო ვასახელოთ.

– რომელი კომპონენტით ამჯობინებ გუნდისთვის ქულების მოტანას – სამქულიანით თუ „ჩატენით“?

– საქართველოს ნაკრებში „ჩატენა“ უფრო მიყვარს, რადგან ხალხი უფრო ემოციურად ხვდება, მაგრამ ამერიკაში – სამქულიანი.

ქალები დაუკარგავად მიდიან, ვაჟები ლიდერებთან ტრიალებენ

საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მე-4 გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა გოგონებმა მასპინძელ, ინდოეთის მე-3 გუნდს 3:1 მოუგეს, რომელიც აქამდე ასევე დაუმარცხებლად მიდიოდა.

პარტია მხოლოდ ნინო ბაციაშვილმა დათმო, რომელმაც შავი ფიგურებით პვ ნანდჰინდჰაასთან წააგო. ნანა ძაგნიძემ თეთრებით ეეშა კარავადე დაამარცხა, ლელა ჯავახიშვილმა ასევე თეთრებით ვარჯიში საჰიტჰი, ხოლო სალომე მელიამ შავებით ბოდა პრატიუშას მოუგო.

აღსანიშნავია, რომ ჯავახიშვილს მეტოქე უკვე მე-12 სვლაზე დანებდა.

4 ტურის შემდეგ ქულადაუკარგავი 8 გუნდი დარჩა. 8-8 ქულა აქვთ და ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: აზერბაიჯანი, პოლონეთი, უკრაინა, ინდოეთი, საფრანგეთი, ინდოეთი 2, საქართველო და რუმინეთი.

3 გუნდს 7-7 ქულა აქვს, რომელსაც 6-ქულიანების დიდი ჯგუფი მოსდევს.

მომდევნო მატჩი ჩვენს ქალებს ისევ მასპინძლებთან აქვთ – ინდოეთის მე-2 გუნდს ეთამაშებიან.

ლიდერთა შორიახლოს ტრიალებს ვაჟთა ნაკრებიც, რომელმაც მექსიკა 3.5:0.5 დაამარცხა. თავიანთი პარტიები მოიგეს: ბაადურ ჯობავამ შავებით ჯილბერტო გერერო ჰერნანდესთან; მიხელ მჭედლიშვილმა თეთრებით ფერნანდო ლუის აბარასთან; ლევან ფანცულაიამ, ასევე თეთრებით, მიგელ ანხელ მონტესთან; ლუკა პაიჭაძე კი შავებით ხულიო სეზარ დიას როსას დაუზავდა.

ვაჟთა შორის მაქსიმალური შედეგი 5 გუნდს აქვს: ინდოეთი 2, სომხეთი, ისრაელი, ინგლისი და ესპანეთი. შემდეგ მოდის დიდი 7-ქულიანი ჯგუფი და კიდევ უფრო დიდი 6-ქულიანი ჯგუფი, სადაც საქართველოს ნაკრებიც არის.

მე-5 ტურში ჩვენი ვაჟთა ნაკრები 47-ე განთესვის პარაგვაის ეთამაშება, რომელსაც ასევე 6 ქულა აქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ავაზას ფეხბურთი უბრუნდება

საფეხბურთო სკოლა ავაზას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მექა. ამ სკოლაში არაერთი ქართველი ფეხბურთელი აღზრდილა და მალე ახალ სახეს შეიძენს, რადგან მისი სრული რეაბილიტაციის პროცესიც იწყება.

ამ ინფორმაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებს.

ლევან კობიაშვილი:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთის ფედერაცია ავაზას სპორტული ცენტრის რეაბილიტაციას შეძლებს. ავაზას ცენტრი, რომელსაც წლების განმავლობაში უამრავი ფეხბურთელი აღუზრდია, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. თბილისის მერიის დახმარებით სპორტული სკოლის ტერიტორია ფეხბურთის ფედერაციას საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობის ვალდებულებით გადმოეცემა. როგორც იცით, ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი საფეხბურთო სტადიონების შენარჩუნება და მშენებლობაა, რათა უფრო მეტ ბავშვსა და ფეხბურთის მოყვარულს მივცეთ ამ სპორტში ჩართვის შესაძლებლობა.

მოგეხსენებათ, რომ მსგავსი პროექტები ქალაქის მუნიციპალიტეტთან და სახელმწიფოსთან თანამშრომლობით წარმატებით განვახორციელეთ გლდანში, ვარკეთილში, ნუცუბიძის პლატოზე და ვაკეში. ასევე მიმდინარეობს საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა დიდ დიღომში, სადაც მიტოვებული სტადიონის ადგილას ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონი შენდება ადგილობრივი მცხოვრები ბავშვებისთვის.

ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ რეგიონებშიც. ფოთში „მალანიას“ სტადიონის ადგილზე, ახალი საფეხბურთო ცენტრი ავაშენეთ, საქართველოს 4 რეგიონში უკვე ფუნქციონირებს საფეხბურთო აკადემიები, ამჟამად კი ქუთაისში იმერეთის აკადემიის მშენებლობა მიმდინარეობს.

პირადად ჩემთვის ძალიან ემოციურია ეს გადაწყვეტილება, რადგან 6 წლიდან ფეხბურთზე სიარული ამ სკოლაში დავიწყე. სწორედ აქ დავიწყე ფეხბურთელად ჩამოყალიბება და უამრავი საფეხბურთო მოგონება მაკავშირებს მასთან. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და პირადად კახი კალაძეს ამ არაჩვეულებრივი საქმისთვის. მიხარია, რომ ავაზას საფეხბურთო სკოლის სახით მალე ჩვენ დედაქალაქს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო ცენტრი ექნება.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 3. ფარისეველი, ქლესა, უბირი ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 5. კომბინაცია პრეფერანსში; 9. შვედური ავტომობილი; 10. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 14. კაცთმოყვარე, ქველმოქმედი ადამიანი; 15. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 16. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 19. ასანთის ქართული სახელწოდება; 20. ქართველი ჯაზის მომღერალი ქალი; 21. ამერიკული ჯიპი.

თარაზულად: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 8. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 11. ვეფხვის, ლომის ნაშიერი; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 13. პოლონეთის დედაქალაქი; 17. მრავალხმიანობა მუსიკაში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 22. ქართული მინერალური წყალი; 23. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 24. საზღვაო ფლოტის სარდლის ძველი სახელწოდება; 25. ზოდიაქოს ნიშანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯიდა; 2. რვალი; 3. ტრიუმი; 5. თოლია; 6. თავკვერი; 8. დეიტერიუმი; 10. რიტუალი; 12. ჟურნალი; 14. ტიფოზი; 15. დინასი; 16. კეინი.

თარაზულად: 1. ჯაფარა; 4. ათინათი; 7. ბრაილი; 9. მუთაქა; 11. სილეზია; 12. ჟოეკვარა; 13. სულორი; 17. გეიტსი; 18. გუჩი; 19. პლატფორმა; 20. მისისიპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გენიოსი; 2. სპაგეტი; 3. კვირინალე; 4. მარიხი; 5. პუდელი; 9. დერბი; 10. ალიანსი; 14. პარლამენტი; 15. ბუკმეკერი; 16. სინოდი; 19. ზარნაშო; 20. ზუროსი; 21. ბოლიდი.

თარაზულად: 6. პერსპექტივა; 7. ბაბაჭუა; 8. ნიანგი; 11. ფერხული; 12. ატოლი; 13. ბარამბო; 17. იუმორესკა; 18. ზვიადაური; 22. ლუიდორი; 23. დიორამა; 24. აშხაბადი; 25. დინამიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7411

ევრო — 2.8030

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3444

100 რუსული რუბლი — 4.5401

ამინდის პროგნოზი 3 აგვისტოსათვის

ანჩელოტი: „რეალში მეგობრული ატმოსფეროა“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალში ძალიან მეგობრული გარემოა და ეს გუნდს შედეგის მიღწევაში ეხმარება:

– რეალის ყველა ფეხბურთელმა კარგად იცის თავისი მოვალეობა და ბევრი მათგანი ერთმანეთს მოედნის გარეთაც კარგად უგებს, რაც, ბუნებრივია, გუნდის თამაშში კარგად აისახება.

დემბელე: „ბარსელონას ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია“

ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ მომავალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლა იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელები თავიანთ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენენ:

– მინდა, გულშემატკივარს ვუთხრა, რომ ჩვენ ბევრი შეგვიძლია და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გავუმკლავდებით სირთულეებს. ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს, რომელსაც გამოყენება სჭირდება.

მბაპემ პსჟ-ში თავის მომავალზე ისაუბრა

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ პარიზულ პერსპექტივებზე ისაუბრა და თქვა, რომ ის პსჟ-ს მინიმუმ რამდენიმე წელიწადი არ დატოვებს და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს სხვა კლუბზე. მბაპეს თქმით, მას სურს, რომ პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს და პარიზული გუნდისთვის ეს მთავარი პრიორიტეტია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნინო ქათამაძემ უკრაინელების დასახმარებლად კონცერტი გამართა

მომღერალმა ნინო ქათამაძემ უკრაინელების დასახმარებლად ბათუმში კონცერტი გამართა. ინსაიტთან ერთად მან შეკრებილი მსმენელისთვის ყველა ის ცნობილი სიმღერა შეასრულა, რომლებიც მის მსმენელს განსაკუთრებულად უყვარს:

– მერიამ უკრაინელი ლტოლვილების დაბინავების პროგრამა, სამწუხაროდ, შეწყვიტა.

ომის დაწყების პირველივე დღიდან მე და ჩემი მეგობრები, უამრავი ადამიანი ვცდილობთ, ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უკრაინელ ოჯახებს ტკივილი და განცდა.

დღეს მათ ჩვენგან კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ, რადგან ის თანხა, რომელსაც მათ ჩვენი მთავრობა სთავაზობს, ნამდვილად არაა საკმარისი ელემენტარული ყოფითი პირობების შესაქმნელად.

ყველას მოწიწებით გთხოვთ, გავერთიანდეთ და თუნდაც ერთი ლარი გავიღოთ ჩვენი ძვირფასი უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებლად.

ბუნებრივია, კონცერტიდან ჩემი და ჩემი ბიჭების ჰონორარების დიდი ნაწილი სწორედ ომში დაზარალებული უკრაინელი ხალხის დასახმარებლად შექმნილ ფონდში გადაირიცხება.

პ.ს. ნინო ქათამაძემ შექმნა ფონდი – „ნინო ქათამაძის ფონდი“, რომელიც დაზარალებულ უკრაინელებს აქტიურად ეხმარება.

ასტროპროგნოზი

3 აგვისტოსათვის

ვერძი – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **ვერცყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ბიჭო, იცი, ვიაგრა რისთვის არის?
– არა, რისთვის?
– იმისთვის, რომ ქალთან ღამეში ორ-სამჯერ გქონდეს სექსი.
– რა დამამშვიდებელია!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ვის უნდა ჰგავდეს შენი შვილი?
– რა თქმა უნდა, მამას...
– მამას კი არა, ქმარს!

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:
– სახლამდე მიმაცილებთ?
– რა თქმა უნდა, მხოლოდ მზერით...

●●●

სახელმწიფო დაწესებულებაში შემოწმებაზე მისული სამინისტროს წარმომადგენელი მის ხელმძღვანელს ეუბნება:
– ეს როგორი საგიჟეთი მოგიწყვიათ!
– რას ჰქვია, როგორი? ქვეყანაში საუკეთესო!

●●●

პაპა შვილიშვილს ეკითხება:
– შვილო, რატომ ხარ ასეთი მავნე?
– ყველა პრეტენზიით მწარმოებლებთან...

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეუბნება:
– ვაიმე, ნიღბის გარეშე ვერც კი გიცანი!

●●●

შვილის მამას ეკითხება:
– მამიკო ბავშვობაში პიონერი იყავი?
– ჰო, შვილო.
– და რას აკეთებდით?
– კოცონს ვანთებდით, ჯართს, მაკულატურას ვაგროვებდით...
– მაწანწალებივით?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია უკრაინის აღდგენაში ჩაერთო

ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია უკრაინის აღდგენაში აქტიურად ჩაერთო.

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დემნა „უკრაინის აღდგენის“ მიმართულებით იუნაითედ 24-ის ფონდის ელჩად დაასახელა.

დემნამ პლატფორმის მხარდასაჭერად სპეციალური მაისური შექმნა, რომლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის 100% იუნაითედ 24-ის ფონდში გადაირიცხება.

ბაია დვალიშვილი მაყურებელს დაემშვიდობა

მსახიობი ბაია დვალიშვილი, რომელსაც ტელეკომპანია „ფორმულაზე“ გადაცემა „ბაიასთან“ მიჰყავდა, მაყურებელს დაემშვიდობა.



5 სეზონის განმავლობაში გადაცემამ „ბაიასთან“ 100-მდე გადაცემა მოამზადა და მისი გმირები იყვნენ ადამიანები ძალიან საინტერესო ისტორიებით.

მეხუთე სეზონის ბოლოს მან 2 წლის განმავლობაში მომზადებული გადაცემებიდან საუკეთესო ეპიზოდები შეკრიბა და ათასობით ერთგულ მაყურებელს კიდევ ერთხელ გაახსენა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

– ამ ხნის განმავლობაში, კვირაში ერთხელ, თქვენ იყავით ბაიასთან და მე ვიყავი თქვენთან. რა ისტორია და ამბავი არ მოგვისმენია, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებდით თქვენ, ადამიანები, – განაცხადა მსახიობმა.

ბაია დვალიშვილს რეჟისორმა ლევან წულაძემ სიურპრიზი მოუწყო და მარჯანიშვილის თეატრში მისი გადაცემის ყველა ის გმირი შეკრიბა, რომლებიც გამორჩეულები აღმოჩნდნენ მაყურებლისთვის. გადაცემის გმირების გარდა, დარბაზში შეიკრიბნენ ბაია დვალიშვილის მეგობრები, გულშემატკივრები და უახლოესი ადამიანები. ბაია ლევანმა თეატრში მიიპატიჟა და გაუმხილა, რომ მისთვის სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული, თუმცა, ისიც გაუმხილა, რომ ეს ფულადი სიურპრიზი არ იყო. დარბაზში შესულ ბაია დვალიშვილს იმდენი საყვარელი ადამიანი დახვდა, რომ სიხარულისგან გული აუჩუყდა და დიდხანს უხდიდა მადლობას თითოეულ მათგანს.

ანდრო ჭიჭინაძე და ბახვა ბრეგვაძე მადრიდში დააჯილდოვეს

მსახიობები ანდრო ჭიჭინაძე და ბახვა ბრეგვაძე მადრიდის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს. ანდროს საუკეთესო მსახიობის ჯილდო გადასცეს, ბახვას კი – მოკლემეტრაჟიანი ფილმის საუკეთესო რეჟისორის.

რჩეულები ისინი პროექტ „სარაჯიშვილისთვის“ გადაღებული ნამუშევრისთვის გახდნენ.

ინფორმაცია წამყვანმა ბახვა ბრეგვაძემ გაავრცელა:

– ანდრო ჭიჭინაძემ მადრიდის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობის ჯილდო აიღო.

მეც მოკლემეტრაჟიანი ფილმის საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში გამარჯვებული ვარ.

პ.ს. ზუსტად ისევეა ეს ჯილდო ყველასი, ვინც ამ პატარა ფილმის შექმნაში მონაწილეობდა! დიდი მადლობა თქვენ ყველას!

ანდრეი მაკარევიჩი თბილისში კონცერტს გამართავს

ანდრეი მაკარევიჩი და ჯგუფი „მაშინა ვრემენი“ 24 სექტემბერს 2-საათიან კონცერტს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავს. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ყველა დროის ჰიტები.

პირველად ანდრეი მაკარევიჩი და ჯგუფი „მაშინა ვრემენი“ თბილისს 1980 წლის მარტში ესტუმრა. „გაზაფხულის რიტმები“ – ასე ერქვა პირველ ნამდვილ როკფესტივალს სსრკ-ში. აშხაბადის, ბათუმის, დონეცკის, ერევნის, ლენინგრადის, მოსკოვის, რიგის, სარატოვის, ტალინის, თბილისის, ჩელიაბინსკის ჯგუფები მთელი კვირა უკრავდნენ ერთად, იცვლიდნენ ინსტრუმენტებს, უსმენდნენ ერთმანეთს, მეგობრდებოდნენ.

„დროის მანქანა“ თბილისიდან გამარჯვებული დაბრუნდა, თუმცა საქმე პრიზებსა და გამარჯვებაშიც არ იყო – მათ შეიყვარეს საქართველო. თბილისის სტუდია „მელოდიაში“ რამდენიმე სიმღერის ჩაწერაც კი მოასწრეს – მაშინდელი „მანქანისთვის“ გაუგონარი ფუფუნება! მას შემდეგ „მემანქანეები“ არაერთხელ ყოფილან ამ დალოცვილ ქვეყანაში – ერთად და ცალ-ცალკე, კონცერტებითა და უბრალოდ სტუმრად – და ყოველთვის მათთვის სიტყვა „საქართველო“ „სიხარულს“ ნიშნავდა – გრძნობა, რომელიც 42 წლის შემდეგაც არ განელებულა.

24 სექტემბრის კონცერტის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, 1980 წლის კონცერტის მსმენელები 50%-იან ფასდაკლებას მიიღებენ ყველა ტიპის ბილეთზე. ამისთვის აუცილებელია, მათ 1980 წლის კონცერტის ფილარმონიის ბილეთი ან პროგრამა წარადგინონ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 2. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 3. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 5. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა გარსი; 6. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. ტრაგედია „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 15. ქართველი მგოსანი; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ოჯახის მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. პიროტექნიკური ტკაცუნა; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 9. შესანახად დამუავებული ბოსტნეული; 11. იტალიის კალათბურთელთა გუნდი; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა